

საქართველოს სსრ.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლობათა მთავრობის

კანონის და განკარგულებათა პრეგული

იუსტიციის სამინისტროს კომისარის გამოცემის

1929 წ. აპრილის 27

№ 7

ნებისმიერი კიბეტი

შ ი ნ ა რ ს ი:

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

60. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1929-30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩესახებ.

60. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1929-30 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების ზესახებ.

სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის თებერვლის 20-ს დადგენილებით (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. მე-12 №-რი, მუხ. 102 და 103) დამტკიცებული „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების“ თანახმად და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის განხორციელების ძირითად დებულებითა ზესახებ“ 1929 წ. მარტის 25-ს თარიღით და 114 №-ით გამოცემული („ზარია კოსტოკა“-ს 68 №-რი 1929 წ. მარტის 27-ს) დადგენილების საფუძველზე—საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღენის:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი 1929-30 წლის საქართველოს სსრ-ში დამის შედეგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების ზესახებ.

კ ა ტ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 1-ლი და მე-4 მუხ. თანახმად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება:

ა) სოფლის მოსახლეობა, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა; ეწევა;

ბ) ის პირი, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა ქალაქის ფარგალში მდებარე მიწაზე, და რომელსაც აქვს სოფლის მეურნეობის შემოსავალი და არა-სამიწამომეტედო საშოგარი შემდეგი ქალაქების გამოკლებით: ტფილისი, ბათომი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, ბორჯომი, გაგრა, გუდაუთი, ქობულეთი, სიღნალი, თელავი, ახალ-სენაკი და ჭიათურა;

გ) ის პირი, რომელიც ქალაქში სცხოვრობს, ხოლო იმავე დროს აქვს სოფლის მეურნეობა ქალაქ გარეშე;

დ) სასოფლო-სამეურნეო კომუნა და არტელი;

ე) საბჭოთა მეურნეობა.

2. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-2 მუხ. თანახმად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოინგარიშება და გადაპ-ხდება თვითეულ ცალკე მეურნეობას მთლად იმ შემოსავალზე, რასაც იგი იღებს როგორც ფულად, ისე ნატურად შემდეგი წყაროებიდან: ა) მემინდვრეობა; ბ) მეველეობა; გ) ყოველგვარი ოთხები საქონელი; დ) სოფლის მეურნეობის სპე-ციალური დარგები (მებოსტრეობა, მებალეობა, მებალეობა, მევენახეობა, მებამ-ბეობა, მეფუტკრეობა, მეთამბაქონება, ბრინჯის მოყვანა, მანდარინების ნარგავი, კარტოფილის ნათესი); ე) არასამიწადმოქმედი სამუშაო საშოგარი (სამუშაო ხელ-ფასი, შინამრეწველობა, ხელოსნობა და სხვა საშოგარი).

3. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-3 მუხლის თანახმად ის წყარო, რომლის შემოსავალიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გა-დასახადით იბეგრება, სხვა რაიმე საერთო-სახელმწიფოფრებრივი და ადგილობრივი გადასახადით არ დიმიტერება, წყლის გამოსალების გარდა. იმ მიწის ნაკვეთისა-თვის, რომლის შემოსავალიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგ-რება, აგრეთვე იმ აღნაგიანი ნაკვეთისათვის, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის წარმოებასთან, რენტა გადახდევინებულ არ იქნება. ის შენობა, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი მეურნეობის შედგენილობაში შედის, განთავისუფლდება შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნით გათვალისწი-ნებულ შემთხვევაში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახით ინდივიდუა-ლურ წესისამებრ (25 მუხ.) დასაბეგრი მეურნეობის სასარეწაო და საწარმო დაიბეგრება აგრეთვე სარეწავი გადასახადითაც.

4. ის პირი, რომელიც ქალაქში სცხოვრობს, ხოლო იმავე დროს სოფლის მეურნეობა ქალაქს გარეშე აქვს, დაიბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გა-

დასახადით და ორ განთავისუფლდება ქალაქის მოსახლეობისათვის დაწესებული გადასახადებისაგან (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-5 მუხ.).

5. სოფლიდ ის პირი, რომელიც სოფლის მეურნეობასთან ერთად, ეწევა აგრეთვე ხელოსნობას, ზინამრეწველობას და სხვა რეწაობას, დაიბეგრება ამა რეწაობათა შემოსავლის მიხედვით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით და განთავისუფლდება სარეწაები და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგრებისა-გან. ხოლო ეს წესი შეფარდებულ უნდა იქნეს მარტომლენ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი რეწაობას ეწევა ერთპიროვანად ან თავისი ოჯახის წევრთა დახმა-რებით, ან და მას ჰყავს დაქირავებული ორა უმცესს სამი მუშისა, თუნდაც რე-წაობისათვის მას ჰქონდეს გაწყობილი საწარმო და მექანიკურ ძრავს ხმარობ-დეს (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-6 მუხ.).

6. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ორ დაიბეგრება: ა) ვაჭ-რობა; ბ) ის სამრეწველო საწარმო, რომელსაც ჰყავს დაქირავებული არა უმე-ტეს სამი მუშისა (მე-5 მუხ.); გ) ის კერძო სასაქონლო წისქვილი, რომელიც მთლად ან ნაწილობრივ აწარმოებს კერძო პირების მიერ შესყიდული ან წის-ქვილის პატრიონის მიერ დამზადებული მარცვლეულის გადამუშავებას უკეთლად გაყიდეს მიზნით,—ქარის წისქვილებისა და აგრეთვე წყლით თუ მექანიკური ძრავით მომექმედი ერთ-თვალიანი ან ორ-თვალიანი წისქვილების გამოკლებით; დ) შეეცემურიტას ზეთის სახდელი კერძო საწარმო; ე) ტყავეული ნედლეტლის გადამუშავებელი კერძო საწარმო; ვ) აქციზისათვები საპარტიუმერო და საკოს-შეტრიკ ნაკეთობის მწარმოებელი კერძო საწარმო.

ამ მუხლში ჩამოთვლილ სასარეწაოთ და საწარმოთ შეეფარდებათ სარე-წავი და საშემოსავლო გადასახადების კანონები.

შეინშვნა. ინდივიდუალური წესით დასაბეგრი მეურნეობის არასაში-წადმოქმედი შემოსავალი, რაც ამა მუხლშია აღნი შესული, ერთიანი სა-სოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი არ არის (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-7 მუხ.).

7. ის პირი, რომლის სამუშაო ხელფასის რაიმ ნაწილი დაბეგრილია ერ-თიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, განთავისუფლდება სამუშაო ხელფასის საშემოსავლო გადასახადისაგან (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-8 მუხ.).

8. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ორ დაიბეგრება შემდეგი სახის სამუშაო ხელფასი:

ა) შრომის ბეგარის წესით მუშაობისათვის;

ბ) სოფლის მერნეობაში ამბოქარი მაშავაცისა თუ დედაქაცის (მოჯამაგირე) მუშაობისათვის;

გ) საბჭოთა ქვედა თანამდებობაზე არჩეული პირის (საოემო აღმასრულე-ბელი კომიტეტისა და სასოფლო საბჭოს წევრი) მუშაობისათვის;

დ) გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტში და საზოგადოებაში, აგრეთვე სოფლის პირველი საფეხურის კოოპერატივში თანამდებობაზე არჩეული პირის მუშაობისათვის;

ე) სასოფლო, სატბნო სამედიცინო და სავეტერინარო პერსონალისა (ექიმი, ქბილის ექიმი, ფერშალი, ბებია), უბნის აგრონომისა, კოლექტიურ და საბჭოთა

მეურნეობაში და კოოპერატიულ ორგანიზაციაში მომუშავე აგრონომისა, აღნიშნული აგრონომების თანაშემწისა, უბნის მიწის მომწყობისა და მელიორატორისა, უბნის ზოოტეხნიკისა და კონტროლ-ასისტენტისა, ტყის გამგისა, მისი თანაშემწისა, მეტყველისა, ტყის მცველისა, ტყის დარაჯისა, სოფლის მასწავლებლისა, სახალხო მოსამართლისა, სახალხო გამომძიებლისა, სასოფლო საბჭოს მდივნისა, სოფლიდ წერილების დამტარებლისა, სოფლის მილიციისა, რაიონის სტატისტიკისა, სოფლის საავადმყოფოში, სკოლაში, სათემო აღმასრულებელ კომიტეტში და სასოფლო საბჭოში მოსამსახურე ტეხნიკური პერსონალის მუშაობისათვის;

ვ) ლიტერატურული და კულტურულ-განანათლებელი მუშაობისათვის (სოფლის კორესპონდენტისა, ქახ-სამუშაველში მომუშავისა და სხვ.).

ამის გარდა, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგრება იმ სამხედრო მსახურთა კოველი სახის კმაყოფა, რომელთაც შეღავათები აქვთ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში, და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული კოველგვარი ჰენსია.

ამა მუხლში ჩამოთვლილი შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებისამებრ (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. მე-9 მუხ.).

9. სათემო საგადასახადო კომისიას უფლება ექლევა განთავისუფლოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრისაგან ამა თუ იმ ლარიბი მეურნეობის არასამიწათმოქმედო სამუშაო საშოვარი (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-10 მუხლის მე-2 ნაწ.).

10. აკრძალულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე რაიმე ზედნართის დაწესება. აკრძალულია აგრეთვე ერთი და იმავე საგადასახადო ფურცლით ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან სხვა რომელიმე გადასახადისა და გამოსალების გადახდევინება, წყლის გამოსალების გარდა (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-11 მუხ.).

11. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საგადასახადო წელიწადით მაისის 1-დან აპრილის 30-მდე—აშრიცხითურთ (ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გად. დებ. მე-12 მუხ.).

ვ ა რ ი II.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა.

12. მეურნეობის (ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა გარდა) მემინდვრეობისა, მეცენატებისა, შესაქონლეობისა, მებარეობისა, მებარეობისა, მეცენატებისა, მეთამბარეობისა, მებამბეობისა და სხვა სპეციალური დარგის შემსავალი (მე-2 მუხ.) განისაზღებება ამა დადგენილების 13-21 მუხ. დაწესებული შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. მე-13 მუხ.).

13. „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონინის განხორციელების ძირითად დებულებათა შესახებ“ გამოცემული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად და იმავე დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად დაწესებულია შემდეგი ნორმები შემოსავლიანობისა (მანეთონბით) აფხაზეთის სსრ-ში, აქარისტანის ავტონომიურ სსრ-ში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს სსრ-ის მაზრებში;

- 151 -

მაჟირებისა და აკტო-ნიშითური რესპუბლიკურის სახელწოდება	სახელი	სამუშაო	სახისი	სახისულის საღი	სენატი	ბისტრანი და ბაზარი	ქართული	ოსმანები	მანდარინი	ბრინჯაოვი	ხუცურუნ, ნი- კუკ და ლუნგ	ბაშა	შემცირებულ ხელი, საუ- ნიდა	ხარი და კავში	ცენტრ და ასალებელ კორი	ცენტრ	ს კა	
																	სახელის სიტყვა	სიტყვა
ახალქალაქ. შაშირ.	33	50	20	210	—	120	90	—	—	—	—	—	—	16	17	18	62—60	4
ახალციხის „	30	45	20	218	—	124	180	83	—	—	—	—	—	13	10	15	52—50	4
ბორჩანოლის „	36	54	20	210	240	168	170	—	—	—	—	—	—	16	14	16	42—50	4
გორის „	31	47	14	220	210	143	140	—	—	—	—	—	—	11	13	14	42—50	4
კახეთის „	33	50	18	172	270	140	160	180	—	—	—	—	—	14	15	17	52—60	5
ტფილისის „	29	44	18	205	210	160	154	—	—	—	—	—	—	13	14	15	52—50	5
სამხრეთ-ისეთი „	28	42	15	210	170	100	90	—	—	—	—	—	—	12	9	14	42—60	4
აღმ. საქართვე. .	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	13—25	13	—	—2—55	—
ზუგდიდის შაშირა	30	45	10	160	140	100	—	180	300	80	80	80	80	11	13	13	61—70	6
ქუთაისის „	30	45	10	210	260	172	144	—	—	—	—	—	—	11	14	15	51—70	5
რწულიგეთის „	24	36	—	160	134	96	80	180	260	E/	E/	E/	E/	10	12	12	61—50	4
რაჭა-ლეჩხუმ. „	24	36	10	146	190	91	80	—	—	—	—	—	—	10	12	12	61—60	4
სენაკის „	30	45	10	148	134	90	80	180	200	0	0	0	0	11	13	13	51—60	6
შორაპნის „	28	42	10	148	250	100	90	—	—	—	—	—	—	11	13	14	51—50	4
აჭარისტრანი „	24	36	10	147	110	120	88	120	360	—	—	—	—	10	12	12	61—30	4
აფხაზეთი „ . . .	30	45	16	154	120	164	144	265	360	—	—	—	—	10	14	13	51—60	6
დაბაც. საქართველ. სსრ	30	45	18	190	230	150	150	175/265	350	150	45	22—50	—	10—50	13	—	—1—55	—
საქართველ. სსრ	30	45	18	190	230	150	150	175/265	350	150	45	22—50	—	—	15	5	—	5

14. აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, —ა/კსფს/რ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-3 მუხ. თანამად, —შეუძლიანთ შესცვალონ ცალკე თემებისა და სოფულებისათვის ამა დადგენილების მე-13 მუხლით დაწესებული ნორმები შემოსავლიანობისა, ხოლო იმ პირაბით, რომ მე-13 მუხლში აღნიშნული თვითეული წყაროს შემოსავლის საერთო თანხა სათანადო რესპუბლიკისა, ოლქსა ან მაზრაში არ იქნეს შეცვლილი; ამასთანავე, ზემოდ განსაზღვრული შემოსავლიანობის საშუალო ნორმების გადიდება შეიძლება არა უმტეს, ვიდრე 10%-ით; ხოლო, უკეთ საკირო იქნება ამა თუ იმ ადგილს 1929/30 წლისათვის დაწესებული საშუალო ნორმა 10%-ზე მეტად გაუდიდდეს, შემოსავლიანობის ნორმა მაინც არ უნდა აღმატებოდეს ამა თუ იმ თემისა ან სოფულისათვის 1928/29 წ. შეფარდებულ შემოსავლიანობის ნორმას.

15. შემინდერეობის შემოსავალი კულა ადგილისათვის გამოიანგარიშება ფაქტურად დათესილი მიწის რაოდენობის (ნათესის) მიხედვით.

აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებსა, სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ ცალკე რაიონებისათვის, ადგილობრივი პირობების მიხედვით, დააწესონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით, რომ ერთიანი სასოფლო-სამურნეო გადასახადით დაბეგვრა სწავლმობდეს სახნავზე გამოიანგარიშებული შემოსავლის მიხედვით, ე. ი. მეურნეობაში ქონგბული სახნავი მიწის რაოდენობის მიხედვით დამოუკიდებლად იმისა, დათესილია ეს მიწა თუ არა (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. მე-20 მუხ. და ა/კსფს/რ სახ. კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-6 მუხ.).

16. მეველეობის შემოსავალი გამოიანგარიშება მეურნეობაში ქონებული ყოველი სახის სათიბის რაოდენობის მიხედვით (ერთ. სას.-სამ. გად. დებულ. 22 მუხლის მე-2 ნაწ.).

17. ოთხფეხი საქონლის შემოსავლის გამოიანგარიშების ღროს დასაბეგრი ოთხფეხი საქონლის შედგენილობაში მოთავსებულ უნდა იქნეს:

ა) ცხენი, ხარი, კამეჩი, ვირი, ჯორი და აქლემი 4 წლისაზე მეტი წლოვანებისა;

ბ) მოზევრი 3 წლისაზე მეტი წლოვანებისა;

გ) ძროხა და ფურ-კამეჩი—პირველი მოგების შემდეგ, ხოლო უშობელი

3 წლისაზე მეტი წლოვანებისა;

დ) ნაზამთრი ცხვარი და თხა;

ე) ღორი 6 თვეზე მეტი წლოვანებისა;

შენიშვნა. ოთხფეხი საქონლის წლოვანება გამოიანგარიშება 1929

წლის მაისის 1-ისათვის (ერთ. სას.-სამ. გადას. დებ. 23 მუხლი).

18. მებოსტრეობისა, მებალჩებობისა, მებალებობისა, მევენახებობისა, მეთამბაჭონებისა, მებრინჯეობისა, და კართოფილის მეურნეობის შემოსავლის გამოიანგა-

რიშების დროს აღრიცხულ უნდა იქნეს ის სივრცე, რაც მეურნეობაში აღნიშნულ კულტურებს უჭირავს. მეფულტკრეობის შემოსავლის გამოანგარიშების დროს აღირიცხულ სკების რაოდენობა (ჩარჩოიანი და გვჯის სეა), რაც მეურნეობაშია (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 24 მუხ.).

შენიშვნა. მებოსტნეობისა, მებალჩეობისა, კარტოფილის მეურნეობისა, მეთამბაქობისა, მეპატრუშმეობისა და მებრინჯეობის შემოსავლის გამოანგარიშების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს ის სივრცე, რაც აღრიცხული იყო 1928/29 წელს.

მებალეობისა და მეენახეობის შემოსავალი გამოიანგარიშება იმ სივრცის მიხედვით, რაც საგადასახადო წელს ფაქტურად ამ კულტურებს უჭირავს.

19. რათა გლეხ-მოსახლეობის სამეურნეო ვარაუდი რაც შეიძლება მტკიცე და ურყევი იყოს, მემინდვრეობისა, მეველეობისა და მესაქონლეობის შემოსავლიანობის ნორმები, რომლის მიხედვითაც 1929/30 წელს თვითოული მეურნეობისათვის გამოანგარიშებული იქნება გადასახადი, არ შეიძლება გადიდებულ იქნეს 3 წლის (1929/30, 1930/31 და 1931/32) განმავლობაში.

სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგების შემოსავლიანობის ნორმები, გამოკვეყნების შემდეგ, არ შეიძლება გადიდებულ იქნეს საგადასახადო წლის განმავლობაში (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. მე-19 მუხ.)

20. მეურნეობის მიერ იჯარით აღებული მიწების შემოსავლის გამოანგარიშების დროს ამ მიწების შემოსავლიანობის ნორმები შემცირებულ უნდა იქნეს.

შემცირების რაოდენობას—10-დან 20 პოლცენტამდე—დააწესდეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი).

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ მონაკლებს ვერ ისარგებლებს ის მეურნეობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მიწებს იჯარით აიღებს და იჯარით გასცემს (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. მე-18 მუხ.).

21. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მებალჩეობისა, მებალეობისა და მებოსტნეობის შემოსავალი მათთვის დაწესებული შემოსავლიანობის სპეციალური ნორჩების მიხედვით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ბოსტრისა და ბალჩის სივრცე თითო მეურნეობაში აღმატება 60 კვად. საერნს, ხოლო ხეხილის ბალის სივრცე—120 კვად. საერნს თითო მეურნეობაში. კოლექტიურ მეურნეობაში ბოსტრისა, ბალჩისა და ბალის შემოსავალი შემოსავლიანობის სპეციალური ნორმების მიხედვით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ბოსტრის ან ბალჩის სივრცე, რაც თითო მჭამელე მოდის, 12 კვად. საე. აღმატება, ხოლო ბალის სივრცე—24 კვად. საერნს.

იმ მეურნეობაში, სადაც ბოსტრისა, ბალჩისა და ბალის სივრცე აღნიშნულ რაოდენობას აღმატება, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სპეციალური ნორმების მიხედვით უნდა დაედგას. მთლიად იმ სივრცის შემოსავალს, რაც ბოსტრის, ბალჩის და ბალის უჭირავს (ერთიანი სას.-სამ. გად. დებ. 24 მუხ. და ა/ქსტრ სახ. კომისართა საბჭოს 1929 წლის მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-7 მუხლი).



22. სამუშაო ხელფასის ჟემსავლის გამოანგარიშების დროს მეურნეობის დასაზღვრი ჟემსავლის ჟელგენილობაში ჟერტანება:

3) იმ მომუშავის სამუშაო ხელფასი, რომელიც მუდმივ თავის სასოფლო მეურნეობაში სკანდალობს— 15% -ის რაოდნობით;

3) იმ მომუშავის სამუშაო ხელთან, რომელიც მუდმივ თავისი სასოფლო მოქმედობის გარეშე სცხოვრობს — 10% -ის რაოდინობით:

8) გარე-სარეწონები გასვლით მიღებული დაქირავებული შრომის სასყი-
დო—10% -ის რაოდინობით.

შენიშვნა. სამუშაო ხელფასი გამოინაგარიშება საშენაწყრო წლის წინამორბედთ წლის მიხედვით (ერთ. სას.-სამ. კათ. ლექ. 25 მწ.).

23. შინამრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედი შემოსავალს (სამუშაო ხელფასის გარდა) თვითეული მეურნეობისათვის განსაზღვრავს სათემო სავადასახადო კომისია. მათ სათანავე, ხეროო შემოსავლიდან გამოირიცხება სარეწაოს ყველა ძირითადი საწარმოო ხარჯი: ნედლეულობისა, სათბობი მასალისა, ნახევართაბრივზე და სხვა.

ამრიკად განსაზღვრული შემოსავალი ჩიარიცხება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის შეფარილობაში შემთხვევაში:

ა) არაშემომთავ ხასიათის შემოსავალი ჩაირიცხება მთლად, იმისდამისუე-
დავად, თუ რა წესით იძეგრება მეურნეობა, საერთო საფუძველზე თუ ინდავი-
დოლობრი წესით;

8) სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავებით მიღებული შემოსავალი მოთავსებულ იქნება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში 25% -ის რაოდენობით, უკეთ გაქირავებულია მექანიკური ძრავით მომქმედი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, და 10% -ის რაოდენობით, უკეთ გაქირავებულია დანარჩენი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები; ტრიიერებისა და განმახარისხებლებისა, აგრეთვე მარტივი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავებით მიღებული შემოსავალი არ დაიბეგრება;

გ) გარე-სარეწაოზე გასცლით არა-დაქირავებული შრომით მიღებული შემსახური ჩირაგავება 25%-ის რაოდინობით;

დ) შინაგრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავალი დასაბეგრავ შემოსავალში ჩაირიცხება 35% -ის რაოდენობით, უკეთუ დაქირავებული მუშები არ არიან გამოყენებულნი, 40% -ის რაოდენობით, როდესაც ერთი მუშაა გამოყენებული, 45% -ის რაოდენობით, როდესაც ორი მუშაა გამოყენებული და 50% -ის რაოდენობით, როდესაც სამი დაქირავებული მუშაა გამოყენებული.

შენიშვნა 1. კომპერიტებულ შინამრეწველთა და ხელოსნოათესის, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ იყენებენ, ამა მუხლის თანახმად გამოანგარიშებული შემოსავალი, რაც დაბეგრილ უნდა იქნეს, შემცირდება 25% -ით; ეს შეღაერთი გაერცელდება მხოლოდ ისეთ შინამრეწველზე, რომელიც კომპერატორულ სისტემაში შემავალი არტენის (ამხანაგობის) წევრია.

შენიშვნა 2. ამა მუცელში აღნიშვნული არასამიშაოთმოქმედო შემოსავალი გამოიინგარიშება საგადასახადო წლის წინამორბედი წლის შიხეთ-

ვით (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 26 მუხ. და ა/ქსუსრ სას. კ—თა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-9 მუხ.).

24. იმ ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობისათვის, რომლის საერთო შემოსავალი 500 მან. აღემატება, დაწესდება შემდეგი პროცენტული ზეღნართები ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ სოფლის მეურნეობის შემოსავალზე (მე-ზინდერეობა, მეველეობა, მესაქიზლეობა, სპეციალური დარგები) ამ მეურნეობის ყველა "წყაროდან მისაღები დასაბეგრი შემოსავალის საერთო თანხის მიხედვით:

როდესაც მეურნეობის ყველა წყაროდან მისაღები დასაბეგრი შემოსავალისა და არის:	სოფლის მეურნეობის შემოსავალის ზეღნართი შეადგენს:
იმ მეურნეობისათვის, რომლის საერთო შემოსავალი:	
500 მან. მეტია 600 მანეთამდე	5%/ ₀
600 " " 650 "	6%/ ₀
650 " " 700 "	7%/ ₀
700 " " 750 "	8%/ ₀
750 " " 800 "	9%/ ₀
800 " "	10%/ ₀

პროცენტული ზეღნართები არ შეეფარდება: ა) იმ მეურნეობას, რომელ-შიაც 9 და 10 მცამელია და რომლის საერთო დასაბეგრი შემოსავალი არ აღე-მატება 60 მანეთს თითო მცამელზე, რომელ-შიაც 11 და 12 მცამელია და საერ-თოდ—დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 65 მან. თითო მცამელზე, რომელ-შიაც 13 და მეტი მცამელია და საერთოდ დასაბეგრი შემოსავალი არ აღემა-ტება 70 მან. თითო მცამელზე; ბ) იმ მეურნეობას, რომლის შემოსავალიც 650 მ. არ აღემატება და რომელიც, საკუთარი საწევი ძალის უქონლობის გამო, მი-მართავს ამ ძალის დაქირავებას.

შენიშვნა. საწევი ძალის არამეონ მეურნეობად ჩაითვლება ისეთი მეურნეობა, რომელსაც ორი ხარი (კამეჩი) ან ორი ცხენი არა ჰყავს (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 27 მუხლი და ა/ქსუსრ სას. კ—თა საბჭოს 1929 წლის მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-10 და მე-11 მუხ.).

25. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახალის დებულების 28 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური წესით დაიბეგრება, ნამდვილი შემოსვლის მიხედ-ვით და არა ნორმების მიხედვით, უფრო მდიდარი კულაკური მეურნეობა შემ-დეგი ნიშნების საფუძვლზე:

ა) როდესაც ოჯახის წევრი ეწევა გაყიდვის მიზნით რისამე შესყიდვას, ვაჭრობას ან ფულადი თანხებისა თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სეს-ხად გაცემას რეწაობის სახით სარგებლით;

ბ) როდესაც მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა: სამარცვლეულ მეურნეობაში 50 სამუშაო დღეზე მეტი რაოდენობით წელიწადში; საბალო და სავანახო მეურნეობაში—75 სამუშაო დღეზე მეტი რაო-დენობით წელიწადში; საბრიჯო, საბოსტო და საბახო მეურნეობაში—100 სა-მუშაო დღეზე მეტი რაოდენობით წელიწადში; სათამბაქო მეურნეობაში—125 სამუშაო დღეზე მეტი რაოდენობით;

გ) როდესაც მეურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი, ბურღულის საჭქველი, საცეცველი, საჩეჩელი, მატყლის საპენტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმობ-საშრობი საწარმო, კრამიტის ან აგურის ქარხანა ან სხვა სამრეწველო საწარმო, რომლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი ან დაქირავებული მუშა-ძალა; აგრეთვე როდესაც მეურნეობაში მოიპოვება ორ ან მეტ თველამი ქარისა ან წყლის წისქვილი, ან და როდესაც ნაყრდი მასალისაგან გამოიხდება სპირტი;

(დ) როდესაც ოჯახის წევრები ილებენ შემოსავალს რელიგიური კულტის მსახურის სახით;

ე) როდესაც მეურნეობა აქირავებს მუდმივ ან სეზონობით ცალკე გაწყობილ სადგომში საცხოვრებლად ან სავაჭრო თუ სამრეწველო საწარმოს მოსათავსებლად.

შენიშვნა. იმ მეურნეობის დაბეგრა ინდივიდუალური წესით, რომელიც, ოჯახში შრომის უნარმქნებ წევრის უყოლობის გამო, დაქირავებულ შრომას გამოიყენებს, თუნდაც იმ ფარგლებში, რაც ამა მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობას აღმარტება, სავალდებულო არ არის. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 29 მუხ. და ა/ქსტარ სახ. კ-თ საბჭოს 1929 წ. გარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების 13 მუხლი).

26. სოფლის მეურნეობის შემოსავლის თანხა, რაც გამოანგარიშებულ იქნება ინდივიდუალური წესით დაბეგრის დროს, არ უნდა იღება ტებოდოდეს ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ ამავე შემოსავლის თანხას $75\%_0$ -ზე მეტი რაოდენობით.

ყოველგვარი არასამიწათმოქმედო შემოსავალი (სამუშაო ხელფასისა და გარე-სარეწონზე გასვლით მიღებული დაქირავებული შრომის საშოვარის გარდა), ინდივიდუალური წესით დაბეგრის დროს, მთლად ჩარიცხულ უნდა იქნეს მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში.

სამუშაო ხელფასი და გარე-სარეწონზე გასვლით მიღებული დაქირავებული შრომის საშოვარი, ინდივიდუალური წესით დაბეგრის დროს, ჩარიცხულ უნდა იქნეს მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში ამა დადგენილების 22 მუხლით დაწესებული რაოდენობით.

(ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 30 მუხლი).

27. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სიის წინასწარ შედგენას და ამ მეურნეობათა შემოსავლის წინასწარ განსაზღვრას აწარმოებს სათემო სააღრიცხვო კომისია.

ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა სიი განხილულ უნდა იქნეს სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ასეთ მეურნეობათა სიის და-ამტკიცებს და მათ შემოსავლის რაოდენობას განსაზღვრავს სათემო საგადასახადო კომისია, რომელიც გამოპყითხავს გადამხდელს მისი შემოსავლის რაოდენობას და საჭირო შემთხვევაში მოახდენს მეურნეობის გამოკვლევას (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 31 მუხ.).

ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მაურნეობათა სიის საბოლოოდ დაამტკიცებს და ამ მეურნეობათა შემოსავალს საბოლოოდ დააწესებს სამაზრო საგადასახადო კომისია.

28. ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ მეურნეობათა რიცხვი არ უნდა აღმატებოდეს მთლად რესპუბლიკის ყველა საგლეხო მეურნეობის საერთო რიცხვის საში პროცენტს.

(ერთ. სას.-სამ. დებ. 28 მუხლის მე-2 ნაწ. და ა/ქსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება მთლად რესპუბლიკაში დაწესებულ იქნეს მეურნეობის მთელი შემოსავლის მახდევით და მჭიდროდ აღრიცხვთ.

ვ ა რ ი III.

გადასახადის გამოანგარიშება.

29. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 32 მუხლის საფუძველზე და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება მთლად რესპუბლიკაში დაწესებულ იქნეს მეურნეობის მთელი შემოსავლის მახდევით და მჭიდროდ აღრიცხვთ.

30. თვითურული ინდივიდუალური მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება მეურნეობის გამოანგარიშებული შემოსავლის საერთო თანხის მიხედვით, 20 მანეთის გამოკლებით მეურნეობაში მყოფ თვითურულ მჭამელზე. გადასახადის განსაზღვრა მოხდება შემდეგი ცხრილის თანახმად:

პირველ 25 მანეთზე გადამდევინებულ იქნება 4 კაპ. თითო მან.

25 მან.	მეტი	თანხისათვის	100 მანეთამ.	"	7	"	"	"
100	"	"	150	"	10	"	"	"
150	"	"	200	"	15	"	"	"
200	"	"	250	"	20	"	"	"
250	"	"	300	"	22	"	"	"
300	"	"	400	"	25	"	"	"
400	"	"	600	"	28	"	"	"
600	"	"			30	"	"	"

ამასთანავე, იმ მეურნეობისათვის, რომელსაც ჰყავს 7 და 8 მჭამელი, დაწესებულია შენაწერი გადასახადის მონაკლები 50% -ის რაოდენობით; იმ მეურნეობისათვის, რომელსაც ჰყავს 9 და 10 მჭამელი, 100% -ის რაოდენობით, ხოლო იმ მეურნეობისათვის, რომელსაც 11 და მეტი მჭამელი ჰყავს, 150% -ის რაოდენობით (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 35 მუხ.).

გადასახადის განაკვეთების გადამდება არ შეიძლება 3 წლის განმავლობაში (1929/30, 1930/31 და 1931/32 წ. წ.).

(ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 35 მუხ.).

31. სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის გადასახადი ყველან გამოიანგარიშება იმ შემოსავლის მიხედვით, რაც თითო მჭამელზე მოდის, მონაკლების დაწესებით ამა დადგენილების მე-40 მუხ. თანახმად (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 34 მუხ.).

32. საბჭოთა მეურნეობისათვის გადასახადი ყველგან გამოიანგარიშება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავლის თანხაზე გადასახადის საშუალო განაკვეთის მიხედვით, რაც დაწესებულია უწყებულ მაზრაში დასაბეგრავ შემოსავლის თითო მანეთზე. (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 39 მუხლი).

ვ ა რ ი IV.

გადასახადის შეღავათები.

33. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ უნდა დაიბეგროს ისეთი ინდივიდუალური მეურნეობა, რომლის დასაბეგრი შემოსავლის თანხა არ აღემატება 110 მანეთს და რომელსაც 1 ან 2 მჭამელი ჰყავს; აგრეთვე ის მეურნეობა, სადაც 3 ან 4 მჭამელია და დასაბეგრი შემოსავალი 130 მან. არ აღემატება; ის მეურნეობაც, რომლის დასაბეგრი შემოსავალი 150 მან. არ აღემატება და სადაც 5 ან მეტი მჭამელია.

სასოფლო-სამეურნეო კომუნა და არტელი განთავისუფლდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, უკეთუ დასაბეგრი შემოსავლის თანხა არ აღემატება 30 მან. თითო მჭამელზე.

შენიშვნა. სათემო საგადასახადო კომისიის უფლება აქვს არ შეუფარდოს დაუბეგრავი მინიმუმი ისეთ მეურნეობას, რომელსაც აქვს სარეწავი და საშემოსავლო გადასახადების კანონების თანახმად დასაბეგრი შემოსავალი (ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 42 მუხ. და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-15 მუხ.).

34. ნათესი სიერცის გაფართოების წასახალისებლად:

ა) განთავისუფლდება დაბეგრისაგან მთლიად ის ნათესი სიერცე, რაც 1929/30 და 1930/31 წლებში მეტი აღმოჩნდება 1928/29 წ. დაბეგვრის დროს აღრიცხულ სიერცესთან შედარებით;

ბ) უკეთუ დილაბნს უხმარი მიწა და გაუტეხავი მიწა მოხნულ იქნა, იგი განთავისუფლდება დაბეგრვისაგან ორი წლის განმავლობაში;

გ) არ დაიბეგრება გამოუსალევი მიწა, უკეთუ მას მელიორაცია გაუკეთდა, აგრეთვე ხელოვნურად დანორტიავებული მიწა და ბეჭურებმოვლებული მიწა, რაც წინად დასაბეგრი სიერცის შედეგნილობაში არ შედიოდა—სამი წლის განმავლობაში ამ მიწებზე მიწის მოსარგებლეთა ხარჯით წარმოებული სამელიორაციო შეზაობის დამთავრების შემდეგ;

დ) არ დაიბეგრება ის მიწა, რომელზედაც საგადასახადო წლის წინამორბედ წელს სწარმოებდა გაკაფული მთლიანი ტყის ნაკვეთების გაწმენდა-ამოძრავა სათესისა და სათიბისათვის.

შენიშვნა. „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული შეღავათები მიეცემა ცველა ინდივიდუალურ მეურნეობას, გარდა აშერად კულაკურისა, და ცველა კოლექტიურ მეურნეობას. იმ აშერად კულაკური მეურნეობის ნიშნები და გამორჩევების წესი, რომელზედაც ეს შეღავათები არა კრულდება, განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

(ერთ. სას.-სამ. გად. დებ. 44 მუხ. და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-16 მუხ.).

35. მოსავლიანობის გაღილების წასახალისებლად:

ა) დაწესებულია გამოანგარიშებული შესახები გადასახადის მონაკლები 10%/-ის რაოდენობით ცველა მეურნეობისათვის იმ საადგილმატულ საზოგადო-

წარმოების შემდეგ რაიონებში: ტფილისის მაზრაში—წალკისა, კობისა, ყაზბეგისა, ერწოს და ფშავე-ხევსურეთის რაიონი, ბორჩალოს მაზრაში—ბაშეკიქეთის რაიონი, ახალქალაქის მაზრაში—გორელოვეჯისა, სათხისა და ყაზახის რაიონი და რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში—მრავალ-ზალესის რაიონი;

ბ) „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ რაიონებში სათესი ბალახით დაჭერილი სივრცე დაბეგრება სათიბის შემოსავლიანობის ნორმის მიხედვით, ხოლო არა უმეტეს სახნავის შემოსავლიანობის ნორმისა;

გ) დაბეგვრისაგან განთავისუფლდება: 1) სანაშენო საქონელი (მოზვერი, ულაყი), რომელიც მოწონებულია პიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ; 2) ჯიშიანი ცხვრის სამომშენებლოს ყოველგვარი ჯიშის ცხვარი: წმინდა ვერიძიანი, ნახევრად-მსხვილმატყლიანი და მსხვილმატყლიანი; 3) ჯიშიანი ბურვაკი, რომელიც საზოგადოებრივ საგრილებელ პუნქტზეა და გატარებულია საადგილ-მამულო ორგანოს რეგისტრაციაში; 4) მერქონისის ჯიშის ცხვარი და მერიინობის მეტისის კოლექტურ და საბჭოთა მეურნეობაში და აგრეთვე იმინდივილურ მეურნეობაში, სადაც ცხვრის რაოდენობა 250 სულს არ აღემატება;

დ) გადასახადისაგან განთავისუფლდება ის საველე ნაკვეთი, რაც გამოყოფილია საზოგადოებრივ ფონდიდან ან სახელმწიფო საადგილმამულო ქანებიდან საზოგადოებრივ საგრილებელ საქმეში გამოსაყენებელი სანაშენო საქონლისათვის; ამასთანავე გადასახადისაგან განთავისუფლდება არა უმეტეს 3 დესეტინისათვით ულ სანაშენო პირუტყველზე.

(ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 27 მუხ. და ამ მუხლის 1-ლი შენიშვნა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ის თარიღისა და 114 №-ის დადგენილების 17 მუხ. და მისი შენიშვნა).

38. სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განთავისუფლებისათვის ხელის შესაწყობად—გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) იხლად გაშენებულ ვენახის სივრცე და ხეხილის ახალი ნარგავის სივრცე—მეორე წლამდე ნაყოფის პირველად მოსხმის შემდეგ;

ბ) ფილოქსერის მძლე საძირებე გაშენებული ვენახის სივრცე—მესამე წლამდე ნაყოფის პირველად მოსხმის შემდეგ;

გ) იხლად გაშენებული ხეხილისა და ვენახის სანერგის სივრცე—პირველი ოთხი წლის განმაღლობაში გაშენების დროიდან;

დ) ჩაის პლანტაციით და თუთის ხისა, ბამბუკისა და დეკორატიული მცენარეთა ნარგავით დაჭერილი სივრცე და ვარხლის ნათესი სივრცე;

ე) მეაბრეშუმეობის შემოსავალი.

(ერთიანი სასოფლო-სამ. გადასახადის დებულების 48 მუხ. და მისი შენიშვნა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ის თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-18 მუხ.).

39. გადასახადისაგან განთავისუფლდება:

ა) საზოგადოებრივი ნათესი იმ ნაკვეთზე, რაც გამოყოფილია საზოგადოებრივი ფონდიდან სოფლის საზოგადოების განახინით და რაც დათესილია ამ საზოგადოების სახსარით ხელუბლებელი სათესლე მარაგის შესაქმნელია;

ბ) საზოგადოებრივი ნათესი, რომელსაც სასწავლო-საჩვენებელი მნიშვნელობა აქვს;

გ) მთლიად საერთო-სახელმწიფო ან აღილობრივ ბიუჯეტზე მყოფი მეურნეობანი საცდელი, საცდელ-საჩვენებელი, სასელექციო, სათესლე და საქონლის მოშენებელი საფურუბისა და საჯიშო მეურნეობა და ცხენის სამომშენებლო;

დ) საცდელ და საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა სასოფლო-სამურნეო სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებისა.

(ერთიანი სასოფტ.-სამ. გადასახადის დებულების 49 მუხ.).

40. სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის დაწესებულია შეწერილი გადასახადის მონაკლები: კომუნისათვის $60\%_0$ -ისა და არტელისათვის— $40\%_0$ -ის რაოდენობით, უკეთ მათში დასაბეგრი შემოსავალი მჭამელზე მოდის არა უმეტეს იმ საშუალო შემოსავლისა, რაც ამა თუ იმ მაზრაში ინდიკილუალური გლეხის მეურნეობის მჭამელზე მოდის.

უკეთ კომუნისა და არტელის შემოსავალი მჭამელზე აღმატება იმ საშუალო შემოსავალს, რაც მაზრაში ინდიკილუალური გლეხის მეურნეობის მჭამელზე მოდის. გადასახადი გამოიანგარიშება ამ საშუალო შემოსავლის მიხედვით; თანც, ამგვარიც გამოიანგარიშებულ შეწერილ გადასახადზე კომუნისათვის დაწესებულია მონაკლები $30\%_0$ -ის, ხოლო არტელისათვის— $25\%_0$ -ის რაოდენობით.

(ერთიანი სასოფტ.-სამ. გადასახადის დებულების 50 მუხ.).

41. ყველა სახის ამხანგობას, რომელიც ეწევა მიწის საზოგადოებრივ შემუშავებას დაქირავებული შემა-ძალის გამოუყენებლად, ექლევა შემდეგი შელავათი: ამხანგობისათვის გამოიანგარიშებულ შემოსავალს გამოაკლდება ის თანხა, რომელიც არ იყოფა ამხანგობის წევრთა შორის, არამედ ამხანგობაში რჩება. შემოსავლის დანარჩენ ნაწილზე ამხანგობისათვის დაწესებულია მონაკლები $20\%_0$ რაოდენობით, ხოლო ნაზთი განაწილდება ამხანგობის წევრთა შორის და ჩაირიცხება მათ ინდიკილუალურ მეურნეობათა დასაბეგრავ შემოსავალში (ერთ. სას.-სამეურნეო გადასახადის დებულების 51 მუხ.).

42. კვემოაღნიშნულ ცხრილში გათვლისწინებული შელავათი ეძლევა იმ მეურნეობას, რომლის შედგენილობაშიაც შედის:

ა) საკადრო სამერიკელ და უმცროს მეთაურთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც მუდმივ სამსახურშია ან ვადაზე ზედმეტ სამსახურში, საგადასახადო წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლად;

ბ) საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შედგენილობის სამხედრო მსახური—საკადრო და რეზერვში მყოფი;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაშია, ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაშია და სათადარიგოდ იმყოფება და რომელიც გაწვეულია ისეთ პირთათვის დაწესებულ შეწერებაზე ან ინსტრუქტორად წვევამდედამდე და ჯარს გარეშე მომზადების ჩასტარებლად;

დ) უმცროსი საკომანდო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიან შვებულებიდან გადარიცხულია ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში.

ე) „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნული პირი, რომელიც გაშევებულია გრძელ-ვადიან შეებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან საგადასახადო წლის წინამორბედი წლის მარტის 1-ის შემდეგ;

ვ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა სამხედრო რიგზე დაყენებული დაცვის პირი და გზათა სახალხო კომისარიატის გზების დაცვის სამხედრო რიგზე დაყენებული შედგენილობის პირი;

ზ) ომის ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის 1-ლ, მე-2 და მე-3 ჯგუფს მიეკუთვნება;

თ) შრომის ინვალიდი და სხვა ინვალიდი, რომელიც ინვალიდობის 1-ლ, მე-2 და მე-3 ჯგუფს მიეკუთვნება, უკეთ მას არაშრომითი ხასიათის შემოსავალი არა აქვს.

ცხრილი მუშათა და გლეხთა არმიის სამხედრო მსახურთა (მათ რიცხვში სახელმწიფო პოლიტკური სამმართველოს ჯარისა და საბადროავი ნაწილისა), სათადარიგო სამხედრო ვალდებულ პირთა და ინვალიდთა შეღათისა.

	უკეთუ მეურნეობის და-საბეჭრო შემსახური არ-აღმარტი 190 მან., ხო-ლო იმ მეურნეობაში, სა-დაც ოთხი ან მეტი მშა-მელია—65 მანეთს მშა-მელზე.	უკეთუ მეურნეობის დასა-ბეჭრი შემსახური აღ-მარტი 190 მანება, ხო-ლო იმ მეურნეობაში, სა-დაც ოთხი ან მეტი მშა-მელია—65 მანეთს მშა-მელზე.
1. მეურნეობა, რომლის შედეგნილობაშიაც შედის ვადაზე ზედმეტი სამსახურის უმცროსი საკომისანო შედეგ-ნილობის პირი.	უკეთუ მეურნეობაში სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი არ არის.	გადასახადისაგან მთლად განთავისუ-ფლდება.
2. მეურნეობა, რომლის შედეგნილობაშიაც შედის ამა მუხლში აღნიშნული სხვა პირები.	უკეთუ მეურნეობაში არის სხვა შრომის უნარიანი მამა-კაცი.	გადასახადისაგან მთლად განთავისუ-ფლდება.
3. მეურნეობა, რომლის შედეგნილობაშიაც შედის ამა მუხლში აღნიშნული სხვა პირები.	უკეთუ მეურნეობაში სხვა შრომის უნარიანი მამაკაცი არ არის.	განთავისუფლდება სამი მეოთხედი გადა-სახადისაგან.
4. მეურნეობა, რომლის შედეგნილობაშიაც შედის ამა მუხლში აღნიშნული სხვა პირები.	უკეთუ მეურნეობაში არის სხვა შრომის უნარიანი მამა-კაცი.	განთავისუფლდება ნახევარი გადასახა-დისაგან.

43. 42 მუხლში ოღნიშნული პირიან შედიან მეურნეობის შეამელთა რიცხვში (სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 53 მუხ.).

44. სასოფლო-სამეურნეო კომუნაში და არტელში, რომლის შედგენილობაშიც შედიან 42 მუხლში ჩამოთვლილი პირები, მეურნეობის დასახელი შემოსავლის ხერთო თანხიდინ გამოიჩინება შემოსავლის მინა, რაც ოღნიშნულ პირებზე მოდის (სასოფ. სამეურნეო გადასახადის დებულების 54 მუხ.).

45. იმ შეურნეობაში, რომლის შედგენილობაშიც შეტის ცხენოსანთა ტერიტორიალური ნაწილის ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მხატვრი, გაწვეული სწავლებაზე ან სასწავლო შეკრებაზე-საკუთარი სამწყობრო ცხენით, —ეს ცხენი გადასახადით არ დაიბეგრება (ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 55 მუხ.).

46. მეურნეობას, სადაც არის სამხედრო მსახური და სათადარიგო სამხედროვალდებული პირი, რომელიც გაწვეულია ისეთ პირთაოვის დაწესებულებაზე-ვლებაზე და შეკრებაზე, ვად გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც შეტანილ უნდა იქნეს სწავლების თუ შეკრების დროის განმავლობაში, გადაედება ერთი თვით ამ პირის დაბრუნების დღიდან. საურავი ამ დროისათვის დარიცხულ არ უნდა იქნეს (ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 56 მუხ.).

47. სასოფლო-სამეურნეო კომუნა ან არტელი, რომელიც მოწყობილია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრიდან გრძელვადიან შეებულებაში და სათადარიგოდ გაშვებულ ან სამსახურიდან სრულიად დათხუნილ პირთა მიერ, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან ორი წლის განმავლობაში იმ კომუნის თუ არტელის მოწყობის დროიდან:

ა) უკეთუ კომუნა თუ არტელი აღნიშნულ პირთა მიერ მოწყობილია პირველი წლის განმავლობაში კადრიდან დათხუნის შემდეგ და

ბ) უკეთუ ამასთანავე აღნიშნული პირი კომუნის თუ არტელის შრომისუნარიან წევრ-მამაკაცთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნკლებს მინც არ შეადგენნ (ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 57 მუხ.).

48. იმ მეურნეობას, რომელსაც ეძლევა შეღავათი 42—47 მუხლების თანახმად, არ წაერთმება სხვა შეღავათის უფლება, რაც იმა დებულებით გათვალისწინებულია (ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 58 მუხ.).

49. შემის შშრომელ მოსარგებლეთა მეურნეობათ და მათ შენართებს, რომელიც გადასახლებული ან განსახლებული არიან ახალ ადგილის გადასახლებისა და მიწათმოწყობის წესების მხხედვით, — მიეცემათ შემდეგი შეღავათი:

ა) მეურნეობა, რომელიც გადასახლებული ან განსახლებულია ისეთ ადგილის, სადაც საჭიროა მიწის მოძირევა და გაწმენდა და სხვა სამელიორაციო მუშაობა კულტურული მიწების განწავებისათვის, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში, ხოლო კოლექტიური მეურნეობა — 6 წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ;

ბ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებული ან განსახლებულია ისეთ ადგილის, სადაც საჭიროა გაუტეხავი მიწის დამუშავება, განთავისუფლდება გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში, ხოლო კოლექტიური მეურნეობა — ოთხი წლის განმავლობაში დაბინავების შემდეგ;

გ) მეურნეობა, რომელიც გადასახლებულია ან განსახლებულია ისეთ ადგილის, სადაც გაუტეხავი მიწის დამუშავება საჭირო არ არის, განთავისუფლდება გადასახლისაგან, უკეთუ გადასახლება ან განსახლება დაკავშირებულია მეურნეობის მუდმივი წარმოებისთვის აუცილებელი შენობების გადატანასთან და აგებასთან; ეს უკანასკნელი შეღავათი ეძლევა ინდივიდუალურ მეურნეობას ერთის წლით /მიწათსარგებლობაზე ახალ საზღვრებში გადასვლის დროიდან, ხოლო კოლექტიურ მეურნეობას—ორის წლის განმავლობაში, როდესაც შენობებია გადატანილი, და სამი წლის განმავლობაში, როდესაც ახალი შენობებია აგებული (ერთიანი სასოფუ-სამ. გადასახადის დებულების 59 მუხ.).

50. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობა განთავისუფლდება გადასახადისაგან სათემო საგადასახადო კომისიის მიერ სრულიად ან ნაწილობრივ—მეურნეობისათვის მიყენებული საერთო ზიანისა და მეურნეობის ძალობნის მიხედვით (ერთიანი სასოფუ-სამ. გადასახადის დებულების 62 მუხ.).

51. საგლეხო შრომითი მეურნეობა, რომელიც ეკუთვნის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან ამ შესრულებასთან დაკავშირებით მოყლოლი ტყის მ. მუშავის ქვრივსა და არასრულწლოვან შვილებს, განთავისუფლდება გადასახადისაგან 5 წლის განმავლობაში აღნიშნული მომუშავის გარდაცვალების შემდეგ (ერთიანი სასოფუ-სამ. გადასახადის დებულების 65 მუხ.).

52. იმ პირთა მეურნეობა, რომელთაც გეისრექს ობლებისა და მათი ქონების მეურვეობა და მზრუნველობა, განთავისუფლდება მეურვეობაში მყოფ პირთა ხეველრი მიწის ნაკვეთებისა და მათი კუთნილი საქონელი შემოსავლის გადასახადისაგან—სამი წლის განმავლობაში მეურვეობის და მზრუნველობის დაწესების დროიდან.

ობილი ჩაირიცხება მეურვის ან მზრუნველის მეურნეობის მქამელთა რიცხვში. ეს შეღავათი შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურვე ან მზრუნველი ობილთან ერთად ცხოვრობს და მათი მეურნეობაც ერთად სწარმოებს (ერთიანი სასოფუ-სამ. გადასახადის დებულების 66 მუხ.).

53. დამატებითი მიწა, რაც გლეხის ოჯახს ან კოლექტიურ მეურნეობას მიეცემა მის მიერ სასოფულო სამეურნეო შრომისათვის მოსამზადებლად საბაჟვო სახლიდან იყვანილ მოწაფეზე,—განთავისუფლდება გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში აღნიშნული მიწის მიჩნის დროიდან (ერთიანი სასოფუ-სამ. გადასახადის დებულების 67 მუხ.).

54. გადასახადისაგან გათავისუფლდება:

ა) საზოგადოებრივი ნათესი იმ ნაკვეთზე, რაც გამოყოფილია სათემო ფონდიდან და გამოიყენება გლეხთა ურთიერთ დახმარე საზოგადოების მიერ და მისი თანაბარი ორგანიზაციის მიერ თავისი მიზნების განსახორციელებლად;

ბ) საზოგადოებრივი ნათესი, რაც დანიშნულია კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა სასურასათო მოთხოვნილების დასაქმიყოფილებლად;

გ) მეურნეობა სკოლისა, საბაჟვო დაწესებულებისა, საპატიმრო აღდილისა (მათ რიცხვში თავისუფლება-აღკვეთილთათვის არსებული შრომის კოლონისა) და აგრძელება სამეურნეო დაწესებულებისა, რომელიც სახელმწიფო საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებას ან ორგანიზაციის ეკუთვნის;

დ) სასწავლო-წარმოებითი მეურნეობა, ორმელიც საბავშვო სახლების მოწაფეთა და უპატრონო ბავშთათვის არსებობს;

ე) ის მიწის ნაკვეთები, რაც გამოყოფილია მოხალისე სახანძრო ორგანიზაციის მიერ თავის ცხენთა საშტატო შედეგენილობისათვის ფურავების დასამზადებლად და აგრძოთვე ამ ორგანიზაციის ცხენთა შედეგენილობა მტკიცე შტატების ფარგლებში (ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 68 მუხ.).

ვ ა რ ი V.

ანარიცხი ადგილობრივი ხახსარისათვის.

55. შემოსული გადასახადიდან გადაიდება ანარიცხი ადგილობრივი სახსარისათვის რესუბლიკაში მიღებული გადასახადის საერთო თანხის 62% -ის რაოდენობით (ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის დებულების 70 მუხ.).

56. 55 მუხლში აღნიშნული ანარიცხი ადგილობრივი სახსარისათვის განაწილდება შემდეგნაირად:

ა) 40% შემოსული გადასახადისა თვითეულ თემში ჩაირიცხება სათანადო თემის ბიუჯეტში;

ბ) 12% შემოსული გადასახადისა თვითეულ მაზრაში (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის კი—ამ ოლქში) ჩაირიცხება სათანადო მაზრის (ოლქის) ბიუჯეტში; ეს ანარიცხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სათემო ბიუჯეტების გასაძლიერებლად, ისე სხვა ადგილობრივი ბიუჯეტების განსამტკიცებლად;

გ) 10% რესუბლიკაში შემოსული გადასახადისა განაწილდება სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ბ“ პუნქტში აღნიშნული ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტებს შორის ამ ერთეულების კონომიური და ფინანსიური მდგრადარების მიხედვით (ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 71 მუხ.).

57. გადასახადის ანგარიშში შემოსული თანხა განაწილდება საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, 55 და 56 მუხლების თანახმად, ამ თანხის მიღების კვალობაზე (ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 72 მუხ.).

ვ ა რ ი VI.

გადასახადის შეტანის ვადები.

58. ერთიანი სასოფულო-სამეურნეო გადასახადის დებულების 73 და 74 მუხლების საფუძველზე და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის მარტის 25-ის თარიღისა და 114 №-ის დადგენილების მე-19 და მე-20 მუხლის თანახმად დაწესებულია შემდეგი უკიდურესი ვადები გადასახადის გადახდისა:

აღმოსავლეთ საქართველოსათვის და სამხრეთ-ოსეტის აფრონომიური ოლქისათვის:

პირველი ვადა 1929 წლის ოქ-	
ტომბრის 1-ლი	25%
მეორე ვადა 1929 წლის დეკემ-	
ბრის 1-ლი	50%
მესამე ვადა 1930 წლის ოქ-	
ბერელის 1-ლი	25%

დასავლეთ საქართველოსათვის და აჭარისტანის სსრ ჩესპუბლიკისათვის:

პირველი ვადა 1929 წლის ოქ-	
ტომბრის 1-ლი	10%
მეორე ვადა 1930 წლის იანვ-	
რის 1-ლი	50%
მესამე ვადა 1930 წლის ოქ-	
ბერელის 1-ლი	40%

აფხაზეთის სს ჩესპლიკისათვის:

პირველი ვადა 1929 წლის დე-	
კებებრის 1-ლი	25%
მეორე ვადა 1930 წლის ოქ-	
ბერელის 1-ლი	25%
მესამე ვადა 1930 წლის აპრი-	
ლის 1-ლი	50%

შენიშვნა. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძღვეა, უკე-
თ საქირო იქნება, დააწესოს ცალკე ადგილებისათვის, ზემოაღნიშნული
ვადების ფარგალში, სხვადასხვა ვადა იმ პირობით კი, რომ ამა მუხლში
დადგენილ ვადებზე მიღებულ იქნეს მთელი თანხა გადასახადისა.

59. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, რაც ამა დადგე-
ნილებიდან გამომდინარეობს, გამოცადებულ უნდა იქნეს ყრილობებზე ათი დღის
განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ვ ა რ ი VII.

ორგანოები, რომელთაც დაკისრებული აქვთ გადასახადის ჩატარება და
უფლება-მოვალეობანი საგადასახადო კომისიებისა.

60. ერთიანი სასოფლო-სამეცნიერო გადასახადის კამპანიის ჩატარება სოფ-
ლად დაეკისრება სათემო აღმასრულებელ კომიტეტს (და სასოფლო საბჭოს, სა-
დაც იგი არსებობს), ხოლო იმ ქალაქში, სადაც სოფლის მეურნეობის მწარმე-
ბელი პირი, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ერთიანი
სასოფლო-სამეცნიერო გადასახადით იმეგრება—ქალაქის საბჭოს.

61. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორია სააღრიცხვო კომისიის მიერ (მუხ. 64)
სოფლებისათვის შედეგენილ სიები ერთიანი სასაფლო-სამეცნიერო გადასახადის
გადმხდელთა და მის მიერვე წარმოებული აღრიცხვა შემსავლის წყაროებისა;

- ბ) ჩააბაროს გადამხდელთ საგადასახადო ფურცლები;
- გ) დააჯარიშოს გადამხდელი ამა დადგენილების 78 მუხლის წესისამებრ, უკეთ იგი შემოსავლის წყაროს (მიწის რაოდენობა, საქონლის რიცვი და სხვ.) დაუმაღავს გადასახადის გადახდევინების ორგანოს;
- დ) იხმაროს იმულებითი ღონისძიებანი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებისათვის—გადასახადების გადახდევინების დებულების წესისამებრ;

ე) მიიღოს შესატანი გადასახადის თანხა და გადაუგზავნოს იგი გადასახადების მიმღებ დაწესებულებას;

ვ) დაუბრუნოს და გაუბაროს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელს ზედმეტად შეტანილი თანხა;

ზ) აწარმოოს ცალკე გადამხდელთა პირადი ანგარიშები და აგრეთვე მთლიად ანგარიშარმოება და ანგარიშება ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის დარგში;

თ) საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს გადასახადის გადახდევინების საქმეს თემის ფარგლებში.

62. სათემო აღმასრულებელ კომიტეტთან ყველგან მოეწყობა, როგორც დამხმარე როგორც, სათემო სააღრიცხვო კომისიები.

63. სათემო სააღრიცხვო კომისიების წევრებია: სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი და სათანადო სასოფლო ყრილობის მიერ არჩეული პირი.

შენიშვნა. სოფლის ყრილობის მიერ არჩეული წევრი სააღრიცხვო კომისიისა მონაწილეობას იღებს კომისიის მუშაობაში მხოლოდ იმ საქმეების გამო, რაც შეეხება სათანადო სოფელში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებას.

64. სათემო სააღრიცხვო კომისიას დაეკისრება:

ა) შეადგინოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა სიები სოულობრივ და ორიცხოს შემოსავლის წყაროები და მცამელი მეურნეობაში;

ბ) წინასწარ განსაზღვროს თეოთული მეურნეობისათვის რაოდენობა არა-სამიწათმოქმედო შემოსავლისა;

გ) წინასწარ გამოარყეოს უფრო მდიდრი კულაკური მეურნეობანი, რომელიც ინდივიდუალური წესით იბეგრებიან;

დ) მისცეს დასკვნა გადამხდელთა საჩივრებისა და აგრეთვე შეღავათის და მონაკლების თაობაზე აღმრული შუამდგომლობის შესახებ;

შენიშვნა. იმ რაიონში, სადაც სასოფლო საბჭოებია, სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მოვალეობას შესარულებს სასოფლო საბჭო, ხოლო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად მოწყობა სასოფლო სააღრიცხვო კომისიები.

65. სათემო აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სათემო კომისია შემდეგი შედეგის მილობით:

ა) თავმჯდომარე—სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

- ბ) სათემო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო ნაწილის გამგე;
 გ) თემის საადგილ-მამელო დარღის მომეშვევე;
 დ) მიწა-ტყის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი;
 ე) ორი გლეხი, რომელთაგან ერთს დანიშნავს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტი, ხოლო მეორეს აირჩევს სათანადო სასოფლო ყრილობა.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სათემო კომისიის წევრთა შედეგნილობაში აირჩევა თითო წარმომადგენელი ამა თუ იმ თემის ყველა სასოფლო ყრილობებისაგან, მაგრამ თვითეული ამ წევრთაგანი საგადასახადო კომისიის სხდომაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ სათანადო სოფლის საქმეების გამო.

66. კომისიის გლეხი-წევრი, რომელიც არჩეულია სასოფლო ყრილობის მიერ, კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის მიიღებს სასყიდელს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრიდან—თვითეული სხდომისათვის ერთ მანეთს.

67. ქალაქ-ადგილას, სადაც ტარდება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა, საქალაქო საბჭოსან მოეწყობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარედ—საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ვისაც პრეზიდიუმი დანიშნავს, და წარმომადგენელი (თითო) სათანადო საფინანსო თრგანისი, საქალაქო მიწების განმგებელი ორგანოსი და სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციისა, ვისაც ეს ორგანოები და ორგანიზაცია დანიშნავს, და ერთი წარმომადგენელი გადამხდელთაგან.

68. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სათემო და საქალაქო კომისიას დაეკისრება:

ა) გაანთავისუელოს დაბეგვრისაგან ლარიბ მეურნეობათა არასამიწათმოქმედო შემოსავალი ამა დადგენილების მე-9 მუხლის წესისამებრ;

ბ) გამარტივის რაოდენობა გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლისა და საბოლოოდ განსაზღვროს იმ მეურნეობათა მთელი დასაბეგრი შემოსავლის თანხა, რომელთაც არასამიწათმოქმედო სამუშაო საშოუარი აქვთ;

გ) გადასწყვიტოს საკითხები, რაც შეეხება ცალქე მეურნეობათა მიკუთვნებას უფრო ძლიდარ კულაკურ მეურნეობათა კატეგორიისათვის, რომელიც, ამა დადგენილების 25 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური წესით იბეგრებიან;

დ) გადასწყვიტოს საკითხები, იმ მეურნეობათათვის დაუბეგრავი მინიმუმის შეუფარდებლობის შესახებ, რომელთაც აქვთ შემოსავალი, რაც იბეგრება სარეწაო და საშემოსავლო გადასახადთა კანონების მიხედვით (33 მუხლის შენიშვნა);

ე) გაანთავისუელოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებელი მეურნეობანი (მუხ. 50);

ვ) გადასწყვიტოს გადამხდელთა (გარდა საბჭოთა მეურნეობებისა) საჩივარი შემოსავლის წყაროების არასისწორით ალრიცხვისა, შემოსავლის თანხის არასისწორით გამოანგარიშებისა და შეწერილი გადასახადის არასისწორით გამოანგარიშების შესახებ;

ზ) მისცეს გადამხდელთ კანონით გათვალისწინებული ყველა შელავათი.

69. აფხაზეთის სს რესპუბლიკისა და იყარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (კენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და აგრეთვე ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები შემდეგი შედეგის შედეგისას:

ა) თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავენ ზემოაღნიშნული ორგანოები — კუთვნილებისამებრ;

ბ) წარმომადგენელი (თითო) სათანადო საფინანსო, საადგილ-მამულო და სტატისტიკური ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციისა, ესისაც ეს ორგანოები და ორგანიზაცია დანიშნავს;

გ) თავმჯდომარე გლეხთა ურთიერთ დამხმარე სათანადო კომიტეტისა.

70. წინა მუხლში აღნიშნულ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიას დაეკისრება:

1) წინასწარ განიხილოს საკითხები და წარუდგინოს თავისი დასკვნა სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ თემებისა და სოფლებისათვის;

ბ) შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმების დაწესების შესახებ სხვადასხვა სახის ბოსტნისა, ბალჩისა და ბალისათვის;

გ) გადასახადის გერძო ვადების დაწესების შესახებ თემში — ამა დადგენილების 58 მუხლით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში;

დ) იჯარით აღებული მიწების შემოსავლიანობის ნორმებისათვის მონაკლების პროცენტის დაწესების შესახებ — ამა დადგენილების 20 მუხლის თანახმად;

2) საბოლოოდ დაამტკიცოს იმ მეურნეობათა სია, რომელნიც ინდივიდუალური წესით უნდა დაიბეგრონ;

3) გადასწყიტოს სათანადო შემთხვევაში საჩივარი, რაც ილიქტის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კვემდგომი კომისიის დადგენილების გამო.

71. გადამხდელთა დასახეგრი შემოსავლის გამოანგარიშება, შესაწერი გადასახადის გამოანგარიშება და შედეგენა საგადასახადო ფურცლებისა და პირადი ანგარიშებისა — დაეკისრება სამაზრო საფინანსო განყოფილებას.

72. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა რესპუბლიკანური საგადასახადო კომისია, რომლის შედეგნილობაც განისაზღვრება ცალკე დადგენილებით.

73. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რესპუბლიკანურ კომისიას (მუხ. 72) დაეკისრება:

1) წინასწარ განხილვა საკითხებისა და თავისი დასკვნის წარდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში:

ა) მემინდვრეობის შემოსავლის გამოანგარიშების შესახებ ნათების ან სახნაების მიხედვით;

ბ) იმ ქალაქ-ადგილების სიის განსაზღვრის შესახებ, სადაც ის პირნი, რომელიც სოფლის მუზეუმებას ეწევიან, იმეგრებიან ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადით, და აგრეთვე იმ პირთა კატეგორიის დადგენის შესახებ, რომელიც ამ ქალაქ ადგილს ცხოვრობენ და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იძეგრებიან;

გ) შემოსავლის ცალკე წყაროების შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

დ) ამა თუ იმ სახის არასამიწათმოქმედო შემოსავლის იმ ნაწილის პროცენტის განსაზღვრის შესახებ, რაც გადასახადით უნდა დაიხეგროს;

ე) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის ვაღების დაწესების შესახებ;

ვ) იმ ნიშანთა ნუსხის შევსების შესახებ, რომლის მიხედვითაც მუზეუმება შეიძლება ინდივიდუალური წესით დაიხეგროს;

2) გადაწყვეტა, სათანადო შემთხვევაში, საჩივრებისა, რაც ალიძერის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვემდგომი კომისიის დადგენილების გამო.

ვ ა რ ი VIII.

შუამდგომლობათა და საჩივართა შეტანისა და განხილვის წესი.

74. კულა შუამდგომლობა და საჩივარი ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობისა გადასახადის შესახებ შეტანება სათემო აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს ეს შუამდგომლობა და საჩივარი განსახილველად სათემო საგადასახადო კომისიისა.

სათემო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს უშუალოდ შემდგომ საგადასახადო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

საგადასახადო კომისიია ვალდებულია განიხილოს მიღებული შუამდგომლობა და საჩივარი ერთი თვის განმავლობაში მათთი შეტანის დღიდან (ერთიანი სას-სამ. გადასახადის დებულების 77 მუხ.).

75. შუამდგომლობა ალმერისა და საჩივართა შეტანისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროებისა და მჭამელთა რიცხვის არასწორი ალ-რიცხვის შესახებ და შემოსავლის განსაზღვრისა და გადასახადის გამოანგარიშების შესახებ, ავრეოვე შუამდგომლობა შელავათის მიცემის შესახებ, გარდა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებულ შელავათისა, შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა გადამხდელისათვის საგადასახადო ფურცლის ჩაბარების დღიდან;

ბ) შუამდგომლობა სტიქიური უბედურების გამო შელავათის მიცემის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც სტიქიური უბედურება მოხდა (ერთანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 78 მუხ.).

76. შუამდგომლობის აღძვრა და საჩიტრის შეტანა გადასახადის გადახდე-
ვინებას ვერ შეაჩრებს (ერთიანი სას.-სამ. გადასახადის დებულების 79 მუხ.).

ვ ა რ ი IX.

**პასუხიმგებლობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების ალ-
სრულებისათვის.**

77. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს (სასოფლო საბჭოს) დაქისრება
პასუხისმგებლობა თვითეული მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის წყაროებისა
და მქამელია რიცხვის სისწორით და თავის დროზე აღრიცხვისათვის, საგადა-
სახადო ფურცლების თავის დროზე ჩაბარებისათვის და აგრეთვე გადასახადის
დასახადის დებულების 81 მუხ.).

78. შეკუთხ გადამხდელი გადასახადის გადახდევინების ორგანოს შემოსავ-
ლის წყაროებს დაუმალავს, იგი დაჯარიმებული უნდა იქნეს აღმინისტრატორული
წესით ან უნდა მიიცეს პასუხისმგებაში სასამართლოს წესით.

ჯარიმის დაადებს სათემო აღმასრულებელი კომიტეტი. ჯარიმა არ შეიძ-
ლება უფრო შეტად, ვიდრე ხუთჯერ აღემატებოდეს იმ თანხას, რა თანხითაც
შემცირდებოდა შეწერილი გადასახადი საშემოსავლო წყაროს გადამალვის გამო.
სათემო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ჯარიმის დადების შე-
სახებ შეიძლება განსაჩიტრებულ იქნეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში
(სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ აღქში კი — ამ აღქში ცენტრალურ აღმასრუ-
ლებელ კომიტეტში), რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა (ერთიანი სასოფ-
ლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 82 მუხ.).

79. იმ გადამხდელის მიმართ, რომელიც გასასახადს არ გადაიხდის ამა
დადგენილების 58 მუხლის შესსამებრ დადგნილ და გამოქვეყნებულ ვადებზე,
შეფარდებულ უნდა იქნეს გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალის-
წინებული ლონისძიება. კერძოდ, იმ გადამხდელის ქონება, რომელიც გადასა-
ხადს არ გადაიხდის, აიწერება და გაიყიდება საჯარო ვაკრობით, ხოლო ვადის
გადაცილებისათვის მას გადახდება საურავი ორი მეათედი პროცენტის რაოდე-
ჭის დებულების 83 მუხ.).

ვ ა რ ი X.

**ერთნაირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების
სელმძვანელობა და შეთვალყურეობა.**

80. თვალყურის დევნება ამა დადგენილების აღსრულებისათვის და საერთო
ხელმძღვანელობის გაწევა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულე-

ბის განხორციელებისათვის—დაექისრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძღვევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

81. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი იხელმძღვანელებს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებას, ამა დადგენილებას და იმ ინსტრუქციებს, რასაც გამოსცემენ სსრ კავშირისა და ოქსტრის ფინანსთა სახალხო კომისარიატები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. გახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. მარტის 29.

ტფილისი—სასახლე.

მ ი მ ა ნ დ ი ს

საქართველოს სახკომისაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

დაიბეჭდა 1250.

მთავლიტი № 599.